ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №69925

ნომერი: AR125167

თარიღი : 22.02.2012

გაცემის თარიღი : 06.03.2012

გაცნობის თარიღი : 09.03.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 89/24 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინე მჭედლიძე პ/ნ 01002014934
- თბილისი გლდანი V მ/რ კორ. 16 ბ. 6

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს -გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ''ბ'' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ''ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილ სათათბირო ორგანოს - გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოს (ოქმი N9, 28.02.2012 წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც უარი ეთქვა ქ. თბილისში ,ძველი თბილისის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზ. N91-ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრის მოწყობის საკითხს საბჭოს წევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით: ''სარეკლამო აბრა მოეწყოს შენობის მარცხენა კედელზე. კრონშტეინის ზომა შემცირდეს ერთი

რუსტის სიმაღლეზე.''

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. მ. მჭედლიძეს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვს მოქ. მ. მჭედლიძეს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N91–ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრის წარმოდგენილი ვარიანტის მოწყობის თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.